THE APPEARANCE (PORTRAIT)OF A SAINT IN GEORGIAN HAGIOGRAPHY

წმინდანის გარეგნობა (პორტრეტი) ქართულ ჰაგიოგრაფიაში

Tsiuri Gvenetadze
PhD Student in Georgian Philology at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Ilia Chavchavadze Avenue #1, Georgia
+995599060921, Tsiurigvenetadze@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-3213-1465

Abstract. This article examines the peculiarities of depicting the portrait of saints in Georgian hagiographical works. It analyzes how medieval authors portray the appearance of saints, what factors influence their approaches, and the differences that emerge between two cultural contexts: Byzantine and Georgian.

The research shows that Georgian hagiography, in accordance with the common Christian tradition, prioritizes the saint's spiritual world and rarely focuses on physical description. When appearance is mentioned, it serves either to express spiritual grandeur or to highlight individuality. Particular attention is given to The Martyrdom of Shushanik, The Life of Grigol Khandzteli, and The Martyrdom of Davit and Constantine.

Byzantine hagiography demonstrates an ambivalent attitude toward outward beauty. In the post-Iconoclasm period, following the restoration of icon veneration, the visual aspect of saints gains greater significance, reflected in detailed descriptions of appearance in hagiographical texts. The article emphasizes that the absence of Iconoclasm in Georgia contributed to a more stable approach to depicting saints in Georgian hagiography.

Key words: Portrait; Georgian Hagiography; Byzantine Hagiography; Icon; Appearance.

ციური გვენეტაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ფილოლოგიის დოქტორანტი,
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #1, საქართველო
+995599060921, Tsiurigvenetadze@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-3213-1465

აბსტრაქტი. სტატია მიმოიხილავს წმინდანის პორტრეტის ასახვის თავისებურებებს ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. ნაშრომში წარმოდგენილია, თუ როგორ წარმოაჩენენ შუა საუკუნეების ავტორები წმინდანთა გარეგნობას, რა ფაქტორები განაპირობებს მათ მიდგომებს და რა განსხვავებები იკვეთება ორ კულტურულ კონტექსტში: ბიზანტიურსა და ქართულში.

კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ჰაგიოგრაფია, საერთო ქრისტიანული ტრადიციის შესაბამისად, უპირატესობას ანიჭებს წმინდანის სულიერ სამყაროს და იშვიათად ამახვილებს ყურადღებას მის ფიზიკურ აღწერილობაზე და როცა ამახვილებს, გარეგნობა სულიერი სიდიადის გამოხატულებად ან ინდივიდუალობის ხაზგასასმელად გვევლინება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „შუშანიკის წამებას“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და „დავითისა და კონსტანტინეს წამებას“.

ბიზანტიური ჰაგიოგრაფია გარეგნული სილამაზის მიმართ ამბივალენტურ დამოკიდებულებას ავლენს. ხატმებრძოლობის შემდგომ პერიოდში, ხატთაყვანისცემის აღდგენის კონტექსტში, წმინდანთა ვიზუალურ ასპექტს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც აისახება ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში გარეგნობის დეტალური აღწერებით. სტატია ხაზს უსვამს, რომ საქართველოში ხატმებრძოლობის არარსებობამ განაპირობა უფრო სტაბილური მიდგომა წმინდანთა პორტრეტებისადმი ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში.

საკვანძო სიტყვები: პორტრეტი; ქართული ჰაგიოგრფია; ბიზანტიური ჰაგიოგრაფია; ხატი; გარეგნობა.

შესავალი. ლიტერატურაში პორტრეტის ცნება არაერთსახოვანი და მრავალასპექტიანია. მისი გაჩენა განაპირობა ინდივიდუალობის, ცალკეული ინდივიდის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გაჩენამ, რაც ეპოქალურად მომდინარეობს რენესანიდან, სწორედ ამ დროს იძენს პორტრეტი სოციალურ, ეროვნულ-ფსიქოლოგიურ და სხვა მრავალ ნიშანს (კიკაჩეიშვილი, 2012: 103). ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში იშვიათად ექცევა ყურადღება წმინდანის ფიზიკურ აღნაგობას, მის გარეგნობას. ამის საფუძველი ბიბლიაშივეა, განსაკუთრებით ახალ აღთქმაში. სახარებებში არსადაა მინიშნებაც კი ქრისტეს გარეგნულ მახასიათებლებზე, რადგან ეს არ მნიშვნელობს, ვინაიდან პიროვნების განმსაზღვრელი არა მისი გარეგნობა, არამედ მისი შინაგანი, სულიერი სამყაროა. ადამიანი აღქმულია, როგორც სულისა და ხორცის მთლიანობა, სადაც მთავარი არის სული, რომლითაც კაცი ენათესავება ღმერთს და რომელიც მუდმივ ბრძოლაშია ხორცთან. სული მარადიულია, ხოლო ხორცი ცვალებადი და წარმავალი.

შუასაუკუნეოვრივი აზროვნების მიხედვით, „ხორციელი ბუნება, ადამიანის სხეული, მისი გარეგნობა, ვერ ავლენს მისსავე ბუნებას. სხეულიდან მხოლოდ ხელები და თვალები მიაჩნდათ სულის გამომხატველად“ (სირაძე, 1987ა: 5). ქრისტიანობამ უარყო ცნობილი პრინციპი „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“. ამიტომაც, ამ ეპოქის ხელოვნებაში არც ჰაგიოგრაფიაში და არც ჰიმნოგრაფიაში ადამიანის ხორციელი სილამაზე დეტალურად არ აისახება. ადამიანი არ განისაზღვრება მისი გარეგნობით.

მიუხედავად ამგვარი ესთეტიკური პრინციპისა და ჰაგიოგრაფიის მკაცრად განსაზღვრული კანონისა, ტექსტებში მაინც ვხვდებით წმინდანის გარეგნობის აღწერილობას. ეს დაკავშირებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ხატთან, როგორც ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტთან. შენიშნულია, რომ ბიზანტიაში პოსტხატმებრძოლობის პერიოდში წმინდანის ვიზუალი გამოსახულება ეფუძნებოდა სწორედ მის ჰაგიოგრაფიულ ტექსტს (Kazhdan & Maguire, 1991:1).

მეთოდები. კვლევა ძირითადად ეფუძნება ჰერმენევტიკულსა და ისტორიულ-შედარებით მეთოდებს.

შედეგები. 1. როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ტრადიციაში წმინდანის შინაგანი, სულიერი სამყარო დომინანტურ როლს თამაშობს. ფიზიკური გარეგნობა იშვიათად ხდება ყურადღების ცენტრში და მაშინაც კი, ხშირად სულიერი სიდიადის წარმოსაჩენად. 2. ბიზანტიაში ხატმებრძოლობის პერიოდმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა წმინდანთა პორტრეტის ასახვაზე ჰაგიოგრაფიაში. ხატთაყვანისცემის აღდგენის შემდეგ გაიზარდა ინტერესი გარეგნობის დეტალური აღწერისადმი, რაც ხატების პოპულარიზაციას ემსახურებოდა. საქართველოში ხატმებრძოლობის

არარსებობამ განაპირობა უფრო სტაბილური მიდგომა. 3. მიუხედავად ჰაგიოგრაფიული კანონებისა, როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ ტექსტებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ავტორები გარკვეულწილად გადაუხვევენ ტრადიციულ მიდგომებს და წარმოაჩენენ წმინდანთა ინდივიდუალურ გარეგნულ მახასიათებლებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ ლიტერატურაში „შუშანიკის წამება“ და „დავითისა და კონსტანტინეს წამება,“ სადაც გარეგნობა უფრო დეტალურადაა აღწერილი, რაც მიუთითებს ავტორების მხატვრულ განზრახვებსა და პერსონაჟების უკეთ წარმოჩენის სურვილზე.

მსჯელობა. ბიზანტიაში ჰაგიოგრაფები ამბივალენტურ დამოკიდებულებას ამჟღვანებენ გარეგნული სილამაზის მიმართ. ზოგჯერ ის სულის შვენიერების ანარეკლად ითვლებოდა. ზოგჯერ კი ლამაზი სული იდგა უხეში და გაცვეთილი სხეულის მიღმა, ან პირიქით, მანკიერება იმალებოდა მიმზიდველ გარეგნობაში. ა. კაჟდანისა და ჰ. მაგუაირის მაგალითებად მოჰყავთ რამდენიმე ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული ძეგლი, კერძოდ: ედესის ეპისკოპოს თეოდორეს ჰაგიოგრაფი საუბრობს წმინდანზე და მიუთითებს, რომ მისი სხეულებრივი სილამაზე მშვენიერი სულიდან მოდიოდა (X ს.); "წმინდა საბა სიცილიელის ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ ბერს მადლით სავსე სახე აქვს (X ს.); ღვთისმოსავი გოგონა ჰიპათია-ფევრონია ბრწყინავდა თავისი სულიერი და ფიზიკური სილამაზით; წმინდა ბარბარე ასევე გამოირჩეოდა გარეგნული სილამაზით (მეტაფრასული ძეგლი X ს.). თუმცა ხშირად ბიზანტიელი წმინდანები ხისტი და მკაცრი გარეგნობისანი არიან, რადგან ასკეტური ცხოვრება ზოგჯერ გავლენას ახდენდა მათ ფიზუკურ აღნაგობაზე. მაგალითად, წმინდა ნიკონ მეტანოეიტზე ჰაგიოგრაფი ამბობს, რომ ძლიერი მარხვის გამო ნეტარი მამა გახდა, სახის ფერი შეეცვალა და გაფითრდა (XI ს.) (Kazhdan & Maguire, 1991: 2).

IX საუკუნის ბოლოდან, რაც ხატმებრძოლობის ერესი საბოლოოდ დაიგმო და აღდგა ხატთაყვანისცემა, ეს წარმოჩნდა სწორედ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში, სადაც მეტი სიზუსტით დაიწყო წმინდანის გარეგნობაზე ხაზგასმა, რაც დიდ როლს თამაშობდა ხატის, როგორც წმინდანის ვიზუალური გამოხატულების პოპულარიზაციაში განსაკუთრებით ხატთაყვანისცემის სრულად აღდგენის შემდეგ. ჰაგიოგრაფია აუცილებლად იქნებოდა საშუალება ეკლესიისთვის, განეხილა საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემები, მათ შორის ხატთა თაყვანისცემის მნიშვნელობა (Chatterjee, 2010).

მე-11 საუკუნის ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა. კერძოდ საუბარია, "ნიკონის ცხოვრებასა" (The Life of Nikon) და "ირინეს ცხოვრებაზე" (The Life of Irene of Chrysobalanton), სადაც, სიუჟეტის მიხედვით, მხატვრებს ევალებათ შექმნან წმინდანთა პორტრეტები, ამიტომაც მათი გარეგნობაც (აღნაგობა, თმა, ჩაცმულობა) ზედმიწევნითაა აღწერილი (Chatterjee, 2010: 227); (Rosenqvist, 1986: 95). ამ თხზულებებში პორტრეტის ამგვარი არსებობა მართლაც უნდა უკავშირდებოდეს ხატთაყვანისცემის საბოლოო აღდგენას, რაზეც მიუთითებს ასევე "ირინეს ცხოვრების" დასაწყისი, სადაც სწორედ ეს ერესია დაგმობილი. ჰაგიოგრაფიას ნამდვილად შეეძლო ეტვირთა ეს რთული მისია და ამგვარად მიეწოდებინა მკითხველისთვის ხატთა მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ. წმინდანთა გარეგნობაზე ყურადღება მახვილდება ქართულ ჰაგიოგრაფიაშიც.

„შუშანიკის წამებაში“ წმინდანის გარეგნობის პირდაპირი აღწერილობა არ გვხვდება, თუმცა ტექსტის სიღრმისეული წაკითხვის შედეგად, ვხვდებით, რომ შუშანიკი ლამაზი ქალია. რ. სირაძე მიუთითებს: „შუშანიკი ამაღლებული მხატვრული სახეა. ნაწარმოებში მისი გარეგნული მშვენიერებაც ჩანს, მაგრამ არა მისი ხორციელი მიმზიდველობის საჩვენებლად, არამედ ისევ და ისევ, მისი სულიერი ამაღლებულობის ნათელსაყოფად“

(სირაძე, 1987ბ: 695). მიუხედავად იმისა, როგორ განვიხილავთ ტექსტში შუშანიკის გარეგნულ სილამაზეზე ხაზგასმას, ფაქტი ერთია. ავტორი არ ერიდება გარეგნულადაც და სულიერადაც მშვენიერი ქალის მხატვრული სახის შექმნას, მიუხედავად იმისა, რომ, ჰაგიოგრაფიული წესების მიხედვით, ხორციელ სილამაზეზე ხაზგასმა მნიშვნელობას მოკლებულია. ვფიქრობთ, რომ ტექსტში წარმოდგენილი ნიუანსები შუშანიკის გარეგნობასთან დაკავშირებით არ ემსახურება მისი სულიერი სიდიადის ჩვენებას, არამედ უშუალოდ - მისი გარეგნული სილამაზის აღწერას. იაკობ ცურტაველი ისე წარმოგვიდგენს შუშანიკის სილამაზეს, რომ ერთ სიტყვასაც არ ამბობს მისი გარეგნობის რაიმე კონკრეტულ შტრიხზე, მაგრამ მკიხველს თვალწინ მშვენიერი დედოფალი წარმოუდგება.

ყველაზე უკეთ შუშანიკის სილამაზეზე თავად წმინდანის სიტყვები მეტყველებს: „მან (ვარსქენმა) უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო, შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა" (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1963: 27). მოტანილი ეპიზოდის მიხედვით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ შუშანიკი ლამაზი ქალი ყოფილა, რომელსაც უკვე თავისი მშვენიერება დაუკარგავს, სწორედ ამაში ადანაშაულებს ყოფილ ქმარს, და საყვედურს გამოთქვამს იმ ყველაფრის გამო, რაც მას ვარსქენმა დაუშავა. „მოსთულული ნაყოფი", „დაშრეტილი სანთელი", „დამჭკნარი ყვავილი", „დაბნელებული მშვენიერება" და „დამდაბლებული დიდება" გარეგნულ მხარეს უნდა ეხებოდეს. პირველი სამი უშულოდ მწუხარებაა ხორციელი მშვენიერების დაკარგვის გამო, ხოლო ბოლო შეიძლება ჩივილი იყოს იმაზე, რომ ვარსქენმა შუშანიკი, როგორც დედოფალი, თავისი ქცევით დაამდაბლა. ეს საინტერესო შტრიხია შუშანიკის, როგორც პერსონაჟის, სახე-ხასიათის გამოსავლენად. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო საზოგადოებაში არის ცდა მოცემული ეპიზოდის მთლიანად სიმბოლურ-ალეგორიული გააზრებისა (ლეთოდიანი, 2012), ეს ასე არ უნდა იყოს. ამ სიტყვებით შუშანიკი წარმოჩნდება, როგორც იმედგაცრუებული ქალი და არა წმინდანი. იგი განიცდის ამქვეყნიური სილამაზის დაკარგვას და ამაში ვარსქენს ადანაშაულებს, რაც, რა თქმა უნდა, უცხოა წმინდანის მხატვრული სახისთვის, მაგრამ სწორედ ამ საუცხოობის გამოა "შუშანიკის წამება" გამორჩეული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები.

შუშანიკის მშვენიერ გარეგნობაზე საუბრობს ანტონ კათალიკოსიც თავის რედაქციაში. "იზრდებოდა ასული ესე წმიდა და დროდ სძლობისა მოიწეოდა ქალი ნარნარი, შუენიერებითა მორფნაკუეთობითითა და შესაბამ შეწყობილებითა კავშირთათა, თანხმობითა ყოვლადთა ყოვლითურთთათა და წევრთა მათთა ურთიერთას მოკიდებითა, „თმათა – სამკაულთა მდედრობითთა – კეთილწესიერ და შუენიერ გარდატევებითა" (ხუცესი, 2024: 157) როგორც ჩანს, შუშანიკის მხატვრული სახე ამ კუთხით ვითარდება გვიანელ ეპოქაში. ანტონ კათალიკოსი მოწამის სხვა თვისებებსაც უსვამს ხაზს: „ქალწული მორცხჳ, სძალი სიბრძნისა მჴმეველი, კეთილგონიერებათა და მცნებათა ქრისტესთა თავსა შორის თჳსსა დამცუელი" (ხუცესი, 2024: 157). ანტონ კათალიკოსი შუშანიკის გარეგნობისა და მისი სულიერი თვისებების წარმოჩენას ქრისტიანულ მსოფლმხედველობას უქვემდებარებს. ვფიქრობ, სწორედ ამ მიზნით აღწერს მოწამის თვისებებს, რათა ხაზი გაუსვას მის ღვთისმოსაობას ახალგაზრდობიდანვე.

იაკობ ხუცესი არ ამახვილებს ყურადღებას შუშანიკის გარეგნობის კონკრეტულ შტრიხებზე, მაგრამ ნაწარმოებში გვხდება ისეთი ეპიზოდები, სადაც ნებსით თუ უნებლიეთ ამოიკითხება მისი სილამაზე. ერთ-ერთი ასეთი მონაკვეთია, როცა განრისხებული ვარსქენი შუშანიკს ჩორში გაგზავნით ემუქრება, პასუხად კი იღებს: „უბადოო და უგულისჴმოო, ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხჴო და ბოროტსა ამას განვერე". და გულსა ეტყოდა პიტიახში იგი

სიტყუათა მათთჳს, ვითარ-იგი ჰრქუა მას, ვითარმედ „ვინ უწყის, თუ კეთილსა რასმე მივემთხჳო“, ვითარმედ „ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1963: 24). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ დროს შუშანიკი უკვე ოთხი შვილის დედაა, რომელიც 6 წელია, საპყრობილეში მძიმე პირობებში ცხოვრობს ლოცვითა და მარხვით, ვარსქენი კი მაინც იმაზე ფიქრობს, არ ეცოლოს ვინმესო, თან უბრალო ადამიანს კიარა, ვინმე მთავართაგანს. ეს გვაფიქრებინებს, რომ შუშანიკი ჯერ კიდევ ისეთი ლამაზია, რომ ვარსქენი ეჭვიანობს და გადაიფიქრებს კიდეც მის ჩორში გაგზავნას.

თუ „შუშანიკის წამებაში“ გარეგნობა არაპირდაპირაა ნაჩვენები, სხვა ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში მასზე უშუალოდაა საუბარი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვხვდებით წმინდანის პორტრეტს. „უდაბნოთა ვარსკვლავის“ შემთხვევაში მისი გარეგნობა ვიცით, როგორც მოღვაწეობის სათავეებთან, ასევე სიკვდილის ჟამს. წმინდანი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი თხზულების დასაწყისში: „ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჴორცითა თხ[ელ], ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1963: 250). უნდა აღინიშნოს, რომ მისი გარეგნობა დიდად არ შეცვლილა არც ღრმად მოხუცებულობაში. სიკვდილის წინ, „გარდარეულად დაბერებულ“, ას ორი წლის გრიგოლ ხანძთელს შემდეგნაირად აღგვიწერს ავტორი: „ფერი პირისა მისისაჲ არა იცვალა, არცა შეემთხჳა თუალთა მისთა მრუმედ მხედველობაჲ, და ჴორცითა ძლიერ იყო და რაჲთურთით უძლურებაჲ სიკუდილადმდე არა იპოვა მის თანა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1963: 308). ხორციელი სიჯანსაღე ღვთის წყალობადაა აღქმული. ვფიქრობთ, ჰაგიოგრაფის მიზანი ისაა, რომ თქვას, მიუხედავად ასეთი მხცოვანობისა, გრიგოლ ხანძთელი ღვთის მადლით, სრულად უვნებელი და უცვლელი დარჩა. მაგრამ ეპიზოდი საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ ხორცი, გარეგნობა ადამიანისა, მნიშვნელობს და სულიერი სიდიადის გვერდით არ იჩრდილება. ამ შემთხვევაში გარკვეულწილად ჰაგიოგრაფი უბრუნდება ანტიკურ ტრადიციას და ამოწმებს კიდეც, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.

წმინდთა პორტრეტები გვხვდება ათონელების ცხოვრებებშიც. ღირს იოანეზე გიორგი მთაწმინდელი წერს: „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოანე იყო ნათესავით ქართველი, ... მჴნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისაჲთა და ბრძენი და გონიერ გონებითა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967: 42). შემთხვევითი არაა, რომ პირველივე ეპითეტია „ნათესავით ქართველი“, რაც კარგად წარმოაჩენს ეროვნული მეობის მნიშვნელობას ჰაგიოგრაფისთვის. ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ იოანე ათონელი კარგი აღნაგობის ყოფილა.

შედარებისთვის მოვიყვანთ ნეტარი ექთვიმეს შესახებ ცნობას: „იყო წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმი სახითა მყუდრო და გონებითა წრფელ და მდაბალ და სულითა განათლებულ და წმიდა გუამითა ძლიერ საღმრთოთა შინა საქმეთა და მოღუაწებითა და ჰასაკითა წესიერ“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967: 88). ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ სპეციფიკური ნიუანსის გამოყოფა შეუძლებელიც კია, რადგან აღწერილობა, თითქმის არ მოიცავს გარეგნულ ნიშანთა ხაზგასმას, ხოლო „სახითა მყუდრო“ შესახედაობა ქრისტიანის თვისებადაც გაიაზრება. პირველ შემთხვევაში კი აშკარაა გარეგნულ მახასიათებლებზე უფრო დეტალური ხაზგასმა, რაც გარკვეულ ინდივიდუალიზმს სძენს წმინდანის მხატვრულ სახეს.

ამ მხრივ ყველაზე მეტად საინტერესო არის უცნობი ავტორის „დავითისა და კონსტანტინეს წამება“, სადაც აღწერილია წმინდათა გარეგნობა ძალიან ზუსტად. „იყო დავით უხუცე დღითა, ჰაერაან და სპეტაკ ჴორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა

და ჴშირ წუერითა, ხოლო კოსტანტი შუენიერ გუამითა და მოწაბლე თმითა და წუერ გამო, და ორნი-ვე სავსე სულითა წმიდითა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1987: 490). ეს არის უნიკალური შემთხვევა ქართულ ჰაგიოგრაფიაში, როცა ავტორი მოწამეების თმის ფერსაც კი აღგვიწერს, რაც ჰაგიოგრაფიული შაბლონისთვის ნამდვილად არ არის ნიშანდობლივი.

დასკვნები. ჰაგიოგრაფიული გმირის გარეგნობაზე ხაზგასმა იშვითი მოვლენაა და სხვადასხვა მიზანს ემსახურება. 1. ჰაგიოგრაფებს ამბივალენტური დამოკიდებულება აქვთ გარეგნული სილამაზის მიმართ. ის შეიძლებოდა ყოფილიყო სულიერი მშვენიერების ანარეკლი, ან პირიქით, შენიღბული მანკიერების საფარველი. ქართულ ჰაგიოგრაფიაში წმინდანთა პორტრეტები მცირე დოზით, მაგრამ მაინც გვხდება და ძირითადად წმინდანის სულიერი სიდიადის გამოხატულებას ემსახურება. 2. პოსტხატმებრძოლობის პერიოდში ბიზანტიაში წმინდანის ვიზუალური გამოსახულება ხატებზე ეფუძნებოდა მის ჰაგიოგრაფიულ ტექსტს, ხატთაყვანისცემის აღდგენის შემდეგ გაიზარდა ინტერესი წმინდანთა ვიზუალური მხარის მიმართ, რაც აუცილებელი იყო ხატების პოპულარიზაციისთვის. ჰაგიოგრაფია ამ პერიოდში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხატთა თაყვანისცემის ლეგიტიმაციაში. 3. საქართველოში არასდროს ყოფილა ხატმებრძოლობა, შესაბამისად, ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში გარეგნობაზე ხაზგასმა მცირე დოზით, მაგრამ ყოველ დროს ჩანს. ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის მსგავსად, ქართულს არ დასჭირვებია ხატების პოპულარიზაციისთვის პორტრეტების განსაკუთრებული მნიშვნელობის გაზრდა ტექსტებში. ბიზანტიურში კი, განსაკუთრებით ხატმებრძოლობის შემდგომ პერიოდში, გარეგნობას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რაც უკავშირდება ხატწერის განვითარებასა და ხატთაყვანისცემის საჭიროებას.

გამოყენებული ლიტერატურა

კიკაჩეიშვილი, თ. (2012). *პორტრეტი, ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი.* თბილისი: გამომცემლობა „GCLAPress“.

ლეთოდიანი, ა. (2012). *შუშანიკის წამების სიმბოლოთა გააზრებისთვის, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ და ადრექრისტიანული კულტურა.* თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

სირაძე, რ. (1987)ა. *ქართული აგიოგრაფია.* თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

სირაძე, რ. (1987)ბ. ბოლოსიტვა. *ქართული მწერლობა.* ტ. 1. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

ხუცესი, ი. (2024). წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ. შუშანიკის წამების ანტონ კათალიკოსისეული რედაქცია. *ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია.* რედ. ნ. მრევლიშვილი. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1963). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. წ. I. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერების აკადემიის გამომცემლობა.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1967). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. წ. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

Chatterjee, P. (2010). *Problem Portraits: The Ambivalence of Visual Representation in Byzantium.* Chapel Hill, North Carolina by Duke University Press. https://www.academia.edu/29629326/Problem_Portraits_The_Ambivalence_of_Visual_Representation_in_Byzantium

Kazhdan, A., & Maguire, H. (1991). Byzantine Hagiographical Texts as Sources on Art. *Dumbarton Oaks Papers*, *45*, 1–22. https://doi.org/10.2307/1291688

Rosenqvist, J. (1986). *The Life of St. Irene Abbess of Chrysobalanton: A Critical Edition with Introduction, Translation, Notes, and Indices.* Uppsala: Almqvist and Wiksell International. https://archive.org/details/Studia-Byzantina-Upsaliensia/Studia%20Byzantina%20Upsaliensia/1%20-%20Rosenqvist%201986%20The%20life%20of%20St%20Irene%2C%20abbess%20of%20Chrsobalanton/

REFERENCES

k'ik'acheishvili, t. (2012). *p'ort'ret'i, lit'erat'uratmtsodneobis shesavali [Portrait, Introduction to Literary Studies]*. Tbilisi: Publishing House „GCLAPress“.

letodiani, a. (2012). *shushanik'is ts'amebis simbolota gaazrebistvis, iak'ob tsurt'avelis "shushanik'is ts'ameba" da adrekrist'ianuli k'ult'ura [For the Interpretation of the Symbols in the Martyrdom of Shushanik, "The Martyrdom of Shushanik" by Iakob Tsurtaveli and Early Christian Culture]*. Tbilisi: Institute of Literature Publishing.

siradze, r. (1987)a. *kartuli agiograpia [Georgian Hagiography]*. Tbilisi: Publishing House „Nakaduli“.

siradze, r. (1987)b. bolosit'va [Epilogue]. *kartuli mts'erloba [Georgian Literature]*. Vol. 1. Tbilisi: Publishing House “Nakaduli”.

khutsesi, i. (2024). ts'amebaი ts'midisa shushanik'isi dedoplisaი [The Martyrdom of Holy Queen Shushanik]. Anton Catholicos's Redaction of the Martyrdom of Shushanik. *kartuli originaluri hagiograpia [Georgian Original Hagiography]*. Ed. N. Mrevlishvili. Tbilisi: University of Georgia Publishing.

dzveli kartuli agiograpiuli lit'erat'uris dzeglebi [Monuments of Old Georgian Hagiographical Literature]. (1963). Under the guidance and editorship of I. Abuladze. Vol. I. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR.

dzveli kartuli agiograpiuli lit'erat'uris dzeglebi [Monuments of Old Georgian Hagiographical Literature]. (1967). Under the guidance and editorship of I. Abuladze. Vol. II. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.

Chatterjee, P. (2010). *Problem Portraits: The Ambivalence of Visual Representation in Byzantium.* Chapel Hill, North Carolina by Duke University Press. https://www.academia.edu/29629326/Problem_Portraits_The_Ambivalence_of_Visual_Representation_in_Byzantium

Kazhdan, A., & Maguire, H. (1991). Byzantine Hagiographical Texts as Sources on Art. *Dumbarton Oaks Papers*, *45*, 1–22. https://doi.org/10.2307/1291688

Rosenqvist, J. (1986). *The Life of St. Irene Abbess of Chrysobalanton: A Critical Edition with Introduction, Translation, Notes, and Indices.* Uppsala: Almqvist and Wiksell International. https://archive.org/details/Studia-Byzantina-Upsaliensia/Studia%20Byzantina%20Upsaliensia/1%20-%20Rosenqvist%201986%20The%20life%20of%20St%20Irene%2C%20abbess%20of%20Chrsobalanton/

მადლიერება. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძეს გაწეული დახმარებისთვის.